

## სასწავლო კურსის პროგრამა

(ს ი ლ ა ბ უ ს ი)

სასწავლო კურსის სახელწოდება – ბიოლოგიის სწავლების მეთოდика 1

სასწავლო კურსის კოდი – P.2.M.09

ლექტორი – ასოც. პროფესორი მაგდა დავითაშვილი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ბიოლოგია-ეკოლოგიის კათედრა

☎ 7-23-74; ელ.ფოსტა: [magdadav@yahoo.com](mailto:magdavadav@yahoo.com)

კონსულტაციის დღეები: ორშაბათი, ოთხშაბათი (13.00-14.00სთ),

თესაუს I კორპუსში №61 აუდიტორია.

**კრედიტების რაოდენობა (ECTS)** – 5 კრედიტი. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური სემესტრია (15 კვირა). სულ საათების რაოდენობაა 125 სთ, აქედან საკონტაქტო საათების რაოდენობაა 45 საათი, დამოუკიდებელი მუშაობისათვის 80 საათი. კვირაში გათვალისწინებულია 2 ლექცია, 1 პრაქტიკული.

**სასწავლო კურსის სტატუსი** – სავალდებულო. სასწავლო კურსი ისწავლება პედაგოგიური ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის II სემესტრში.

**სასწავლო კურსის მიზნები** – კურსის მიზანია მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის გათვალისწინებით მისცეს სტუდენტებს ცოდნა ბიოლოგიის სწავლების ზოგად მეთოდикаში და გამოუმუშაოს მათ მეთოდური საკითხების დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გადაჭრის უნარი.

**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები** – ბიოლოგია 1

**სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:**

ცოდნა და გაცნობიერება	ექნება ბიოლოგიის სწავლების მეთოდის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.	ექნებათ მყარი ცოდნა ბიოლოგიის სწავლებისათვის დამახასიათებელ მრავალფეროვან ფორმებზე, სასწავლო მასალის შინაარსზე, სწავლებისა და აღზრდის მეთოდებსა და ხერხებზე, რომლებსაც ის გამოიყენებს სწავლების პროცესში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეძლება სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადაჭრის მიზნით; შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის	შეძლება საბაზისო ფსიქოტექნიკის პრაქტიკულად გამოყენება მოდელირებულ სიტუაციებში, პრაქტიკის პირობებში ექნება პრობლემის გადაჭრის გამოცდილება სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობით. ჩატარებული

	განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.	კვლევის საფუძველზე შეედლება სპეციფიური პროექტის შედგენა და მასში მონაწილეობა.
დასკვნის უნარი	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.	შეედლება მონაცემთა ინტერპრეტაცია, სისტემაში მოყვანა, გაანალიზება და გამოყენება საჭირო მიმართულებით, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად და წერილობით გადმოცემა.	შეედლება თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ კომუნიკაცია სხვადასხვა სახის აუდიტორიასთან. ექნება საკუთარი დარგობრივი სფეროს შესახებ ურთიერთობის უნარი სხვადასხვა ფორმატითა და მიდგომების გამოყენებით შესაბამის სამეცნიერო ენაზე; შეედლებათ პრეზენტაციის ჩატარება, მოხსენების გაკეთება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.	შეუძლია ლიტერატურასთან მუშაობა და ცოდნის დონის გადრმავება. შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკული საქმიანობის მაგალითებზე დაყრდნობით, შეუძლია ინტერნეტით მოიძიოს ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია სფეროსთან დაკავშირებით.

#### სასწავლო კურსის შინაარსი:

I კვირა: ბიოლოგიის სწავლების მეთოდთა, როგორც პედაგოგიური მეცნიერება: ბიოლოგიის სწავლების მეთოდის საგანი. ბიოლოგიური განათლების როლი. ბიოლოგიის სწავლების მეთოდის კავშირი სხვა მეცნიერებებთან. ბიოლოგიის სწავლების მეთოდის კვლევის მეცნიერული საფუძვლები. ბიოლოგიის სწავლების სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნები ზოგად საგანმანათლებლო საშუალო სკოლებში. ბიოლოგიის სწავლების მეთოდის განვითარების ეტაპებისა და მიმართულებების მოკლე ისტორია. ლიტ: [1] გვ. 8-34.

II-III კვირა: სასკოლო ბიოლოგიის კურსის შინაარსი და თავისებურებები: სასწავლო მასალის სისტემა და თანამიმდევრობა. სასკოლო ბიოლოგიის შინაარსის ზოგადი მიმოხილვა. შინაარსის კომპონენტები, მათი ურთიერთკავშირი და განვითარება. საგანთაშორისი კავშირები. ძირითადი დიდაქტიკური პრინციპები ბიოლოგიის სწავლების მეთოდთა: სწავლების, აღზრდისა და განვითარების ერთიანობის პრინციპი. მეცნიერულობისა და

სისტემატურობის პრინციპი. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპი. მისაწვდომობისა და თვალსაჩინოების პრინციპი. საფუძვლიანი სწავლების, შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპები. დიდაქტიკური პრინციპების ურთიერთკავშირი. ლიტ: [1] გვ. 34-65.

IV კვირა: ბიოლოგიური ცნებების განვითარება: ცნებების განვითარების თეორია. ბიოლოგიური ცნებები. უნარის განვითარება. ცნებების განვითარების მეთოდика. ლიტ: [1] გვ. 65-79.

V-VI კვირა: მოსწავლეთა აღზრდა ბიოლოგიის სწავლების პროცესში: აღმზრდელობითი სწავლების სისტემა ბიოლოგიაში. მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. აზროვნების აღზრდა. შრომის კულტურის აღზრდა. ესთეტიკური აღზრდა. ეთიკური აღზრდა. ეკოლოგიური აღზრდა. ჰიგიენური და ფიზიკური აღზრდა. სქესობრივი აღზრდა. აღზრდის სხვადასხვა ასპექტების ურთიერთკავშირი. ლიტ: [1] გვ. 80-113.

VII-IX კვირა: ბიოლოგიის სწავლების მეთოდები: სწავლების მეთოდების განსაზღვრა და ფუნქციები. სწავლების მეთოდების კლასიფიკაცია. სწავლების მეთოდების დახასიათება. მეთოდების განვითარება და შერწყმა. ცოდნისა და უნარის შემოწმების მეთოდები. მეთოდური ხერხები. თვალსაჩინო მეთოდები. პრაქტიკული მეთოდები. მეთოდების შერჩევა. ბიოლოგიის სწავლების ორგანიზაციული ფორმები: სწავლების ფორმების ორგანიზაციის სისტემა. სწავლების ფორმები ბიოლოგიაში. სწავლების ფორმათა ურთიერთკავშირი. მოსწავლეთა ფრონტალური, ჯგუფური და ინდივიდუალური საქმიანობის ორგანიზაცია. ლიტ: [1] გვ. 113-163.

X-XII კვირა: ბიოლოგიის გაკვეთილები: გაკვეთილი, როგორც სწავლების ძირითადი ფორმა. პერსპექტიული გეგმა. გაკვეთილების სისტემა თემაში. მასწავლებლის მზადება გაკვეთილისათვის. გაკვეთილისადმი წაყენებული მოთხოვნები. ბიოლოგიის გაკვეთილების სტრუქტურა და ტიპები. ლაბორატორიული გაკვეთილი. გაკვეთილზე ახალი მასალის შესწავლა. გაკვეთილის ჩატარება. კინო და ტელე გაკვეთილი. ლაბორატორიული გაკვეთილი. განზოგადების გაკვეთილი. სწავლების ლექციურ-სემინარული ფორმა. გამეორება ბიოლოგიის გაკვეთილებზე. მიკროსკოპით მუშაობა. მოსწავლეთა ცოდნის აღიქვა და შეფასება. ბიოლოგიის რვეულის წარმოება. სახელმძღვანელოსა და დამხმარე წიგნებზე მუშაობა. ლიტ: [1] გვ. 164-204.

XIII-XIV კვირა: ექსკურსიის ორგანიზაცია: ექსკურსიის ადგილი და მნიშვნელობა. ექსკურსიისათვის მზადება. ექსკურსიები ბიოლოგიაში. ექსკურსიის სტრუქტურა. ექსკურსიის ტიპები. ექსკურსიები ბოტანიკაში. ექსკურსიები ზოოლოგიაში. ექსკურსიები ზოგად ბიოლოგიაში. საექსკურსიო მასალების დამუშავება და შეჯამება. საზაფხულო დავალება. ექსკურსიები სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. ექსკურსიები მუზეუმებში, ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ბაღებში. კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაცია: კლასგარეშე მუშაობის სახეები.

ჯგუფური მეცადინეობები, ნორჩ-ნატურალისტთა წრის ორგანიზაცია. მასობრივი, კლასგარეშე სამუშაოები .ინდივიდუალური კლასგარეშე მეცადინეობები. ფაკულტატური მეცადინეობები ბიოლოგიაში. ლიტ: [1] გვ. 204-243.

XV კვირა: ბიოლოგიის სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბიოლოგიის კაბინეტი. ცოცხალი ბუნების კუთხე. სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. ლიტ: [1] გვ. 244-254.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** კურსი თეორიული და პრაქტიკული ხასიათისაა და ითვალისწინებს სტუდენტთა ინტენსიურ ჩართვას ლექციებსა და სემინარებში. სწავლების ფორმატია ლექცია, სემინარი და ლაბორატორიული სამუშაო. ლაბორატორიული მეცადინეობა ემსახურება პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. მოხდება წერიითი და ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, რაც დაეხმარება სტუდენტს საგნის ათვისებაში.

**შეფასების კრიტერიუმები:** პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსები ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელთაგან 60 ქულა ნაწილდება შუალედურ შეფასებებზე და 40 ქულა – დასკვნით გამოცდაზე. შუალედური შეფასებები განისაზღვროს შემდეგი 3 აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1. შუალედური წერა მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა); ჩატარდება მერვე და მეცამეტე კვირის ბოლოს.
2. ზეპირი გამოკითხვა მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა) ჩატარდება ოთხჯერ. ორი გამოკითხვა ჩატარდება პირველი 8 კვირის განმავლობაში, შემდეგი ორი კი მეორე 7 კვირის განმავლობაში.
3. ზეპირი პრეზენტაცია მაქსიმუმ 10 ქულა. სტუდენტი ირჩევს საპრეზენტაციო თემას და წარმოადგენს ნებისმიერ დროს, პრეზენტაცია ფასდება შემდეგი ქულებით:

- თემის გასაგებად წარმოდგენა- მაქსიმუმ 4 ქულა
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა- მაქსიმუმ 4 ქულა
- ვიზუალური საშუალებების გამოყენება- მაქსიმუმ 2 ქულა

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს. დასკვნითი გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

- 2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- 3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- 5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- 1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- 2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

#### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. ვ. თ. მეგრელიძე, დ. ვ. მეგრელიძე. ბიოლოგიის სწავლების ზოგადი მეთოდика. თბილისი. 1998.

#### **დამხმარე ლიტერატურა:**

1. მდინარაძე, ლ. (1974). ბიოლოგიის სწავლების მეთოდика. თბილისი: განათლება.
2. მდინარაძე, ლ. (1983). ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის ზოგადი კურსი. თბილისი: განათლება.
3. Н. М. Верзилин, В.М. Корсунская. Общая методика преподавания биологии. Москва. «Просвещение», 1976.
4. И. Д. Карцева, Л. С. Шубкина. Хрестоматия по методике преподавания биологии. Москва. «Просвещение», 1984.
5. И.Д. Зверев. А.Н. Мягкова. Общая методика преподавания биологии. Москва. «Просвещение», 1985.